საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 10 ივნისის
დადგენილება № 460

სტუ-ს სასწავლო პროცესის
დისციპლინარული კომისიის
შექმნისა და კომისიის რეგლამენტის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სტუ-ს სასწავლო პროცესის დისციპლინარული კომისია შემდეგი შემადგენლობით: პროფ. მამუკა სონღულაშვილი (თავმჯდომარე); წევრები: ჯემალ ბერიძე, დენიტა ბიბილეიშვილი, თეიმურაზ ბუტულაშვილი, ბორის გითოლენდია, მერაბ თევზაძე, გიორგი კულდონაშვილი, მამუკა მაცაბერიძე, მზია მილაშვილი, ლალი ღოღელიანი, დავით ჯაფარიძე, გურამ ჯოლია, ქეთი ჯინჭარაძე.
2. დამტკიცდეს დისციპლინარული კომისიის რეგლამენტი დანართი №1-ს შესაბამისად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე

დანართი №1

„დამტკიცებულია“

სტუ-ს აკადემიური საბჭოს

2011 წლის 10 ივნისის

№460 დადგენილებით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დისციპლინური კომისიის რეგლამენტი

თავი I

ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე რეგლამენტი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტში მოქმედი დებულებების, ინსტრუქციებისა და აკადემიური საბჭოს დადგენილებების საფუძველზე;

2. რეგლამენტი აწესრიგებს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა (აკადემიური პერსონალი, მოწვეული პროფესორ-მასწავლებელი, ე.წ საათობრივი დატვირთვაზე მომუშავე პირი) მიერ შრომითი ხელშეკრულებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული „სტუ-ში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქციით“ დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობა/დარღვევის შედეგად წარმოშობილ ურთიერთობებს.

თავი II

კომისიის კომპეტენცია

1. კომისია განიხილავს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ აკადემიური საბჭოს დადგენილებებით „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემისა“ და „პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის“ დარღვევისათვის გათვალისწინებული დისციპლინური ღონისძიებების (სახდელები) შეფარდების თაობაზე რეკომენდაციების მიღების საკითხს კონკრტული პირებისათვის; აგრეთვე განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ „მეცადინეობების

შეფასების შედეგების“ მიხედვით გასატარებელი დისციპლინური ღონისძიებების (სახდელები) თაობაზე რეკომენდაციების მიღების საკითხს;

2. რეგლამენტის მე-2 თავის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური ღონისძიებების (სახდელები) გატარებისათვის კომისია ხელმძღვანელობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის, პროფესორ-მასწავლებელთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული ხარისხის შეფასების მონაცემებით, აგრეთვე დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით;

3. კომისია უფლებამოსილია საკითხის განხილვის პროცესში სხდომაზე მოიწვიოს დაინტერესებული პირი, მისი უშუალო ხელმძღვანელი ან/და სხვა პირი, თავისი შეხედულების შესაბამისად.

თავი III

კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს აკადემიური საბჭო;

2. კომისია შედგება არანაკლებ 13 წევრისაგან. კომისია პირველსავე სხდომაზე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის მდივანს.

3. კომისიის სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში კი სხდომაზე დამსწრე კომისიის უხუცესი წევრი.

4. კომისიის მიერ გადაწყვეტილებები მიიღება საოქმო დადგენილებების სახით;

5. კომისია როგორც წესი, იკრიბება სემესტრის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ.

6. კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის დღის წესრიგის, სხდომის ოქმებისა და კომისიის მუშაობისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებას.

თავი IV

გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით;

3. კომისიის წევრებს შორის ხმების თანაბარი განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

4. კომისია საკითხის შესწავლისა და სათანადო მტკიცებულებების შეფასების შემდეგ იღებს შემდეგი სახის გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთს:

4.1. საპატიოდ მიიჩნევს პროფესორ-მასწავლებლის მიერ აკადემიური საბჭოს სათანადო დადგენილებებით განსაზღვრულ დარღვევას;

4.2. არასაპატიოდ მიიჩნევს პროფესორ-მასწავლებლის მიერ აკადემიური საბჭოს სათანადო დადგენილებებით განსაზღვრულ დარღვევას და რეკომენდაციის სახით შუამდგომლობს რექტორის წინაშე შესაბამისი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე, აკადემიური საბჭოს დადგენილებებით გათვალისწინებული ღონისძებებიდან ერთერთის შეფარდების თაობაზე.

თავი V

სხვა დებულებანი

1. კომისიის გადაწყვეტილება უნივერსიტეტის მასშტაბით არ საჩივრდება;

2. კომისია ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და რექტორის წინაშე;

3. კომისია მუშაობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში.